

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს

საგადახდო ინსტრუმენტების დაზღვევა

1. პროდუქტის აღწერა

1.1. სადაზღვევო პაკეტები

- სადაზღვევო პროდუქტები განკუთვნილია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომელიც ფლობენ სადებეტო და საკრედიტო ინსტრუმენტებს:
  - o VISA Electron/VISA Classic/VISA Gold/VISA Platinum/VISA Business
  - o MC Standard/MC Gold/MC Business
  - o Sticker
  - o Watch2Pay
- დაზღვევა ვრცელდება ერთ-ერთ კონკრეტულ საგადახდო ინსტრუმენტზე. თუ კლიენტს რამდენიმე აქვს, მათ შორის ერთი და იმავე ანგარიშზეც კი - მას შეუძლია დააზღვიოს ერთი ან რამდენიმე საგადახდო ინსტრუმენტი ცალ-ცალკე.
- პოლისი 1 წლიანია და მისი მოქმედება წყდება პირველივე ანაზღაურების დადგომისას. შემდეგ უნდა გაფორმდეს ახალი პოლისი
- თუ ბარათის მოქმედების ვადა 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი, ერთწლიანი პოლისი იმოქმედებს მხოლოდ ბარათის ვადაზე.
- სადაზღვევო პაკეტების სამი სახეობა, რომელიც ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტის მფლობელმა პირმა შეიძლება შეიძინოს:
  - o სტანდარტი
  - o ექსტრა
  - o პრემიუმი

	სტანდარტი	ექსტრა	პრემიუმი
მომსახურების ვადა	1 წელი	1 წელი	1 წელი
სადაზღვევო ნეტო პრემია [წლიური]	10 ლარი	15 ლარი	20 ლარი

მომსახურების შეწყვეტა	1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ 2. სადაზღვევო პერიოდის გასვლის შემდგომ
-----------------------	--

**ანაზღაურების პირობები**

ინტერნეტის გამოყენების გარეშე ჩატარებული თაღლითური ოპერაცია	1 600 ლარი	4 800 ლარი	8 000 ლარი
ინტერნეტით ჩატარებული თაღლითური ოპერაცია	800 ლარი	1 920 ლარი	2 400 ლარი
ანაზღაურებადი [თანმდევი] ოპერაციების რაოდენობა	5	5	5

**ოპერაციები, რომელიც პოლისით არ ანაზღაურდება**

1. პინით შესრულებული ოპერაცია (ბანკომატი, პოსი, ემპოსი და სხვა)
2. ოპერაცია, რომლის მის მიერ შეუსრულებლობის სათანადო მტკიცებულებას კლიენტი ვერ წარმოადგენს
3. ოპერაცია, რომელიც არ არის გასაჩივრებული საგამომიებო ორგანოებში
4. პოლისის ლიმიტს ზემოთ ოპერაციები
5. პოლისით სარგებლობა წყდება პირველივე ანაზღაურების გამოყენებისას. შემდეგ უნდა გაფორმდეს ახალი პოლისი, სურვილის შემთხვევაში
6. პოლისის ვადის გასვლის შემდეგ შესრულებული ოპერაციები